

შპს „ჰიდროენერჯი“
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ჰიდროენერჯი“
ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9-14

შპს “ჰიდროენერჯი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ჰიდროენერჯი

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	250 247	214 549
სავაჭრო მოთხოვნები	240 856	104 807
მარაგები	179	179
სხვა მიმდინარე აქტივები	37 602	251 868
ძირითადი საშუალებები	3 405 240	3 654 966
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	3 934 124	4 226 369
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	11 164	2 884
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	25 000	254 468
საგადასახადო ვალდებულებები		10 853
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3 891 143	3 910 291
სხვა ვალდებულებები	479 843	500 971
სულ ვალდებულებები	4 407 150	4 679 467
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(473 026)	(453 098)
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	(473 026)	(453 098)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 934 124	4 226 369

დირექტორი



შპს "ჰიდროენერჯი"
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები	საანგარიშგებო პერიოდი 2019	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018
ნეტო ამონაგები	1 086 026	877 012
საქონლის გაყიდვიდან	888 907	657 690
მომსახურების გაწევიდან	197 119	124 407
სხვა		94 915
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
საწყისი მარაგები	179	36 097
მარაგების შესყიდვა	-	146 403
საბოლოო მარაგები	179	179
საერთო მოგება	1 086 026	694 690
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(227 913)	(336 356)
ცვეთა და ამორტიზაცია	(126 514)	(97 802)
საპროცენტო შემოსავალი:	9 806	59 007
საპროცენტო ხარჯი :	(339 902)	(460 014)
იჯარის ხარჯი		(5 182)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(117 916)	(307 438)
სულ საოპერაციო ხარჯები	(802 439)	(1 147 785)
საოპერაციო მოგება	283 587	(453 095)
არასაოპერაციო ხარჯი	(303 515)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	(19 928)	(453 095)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(453 098)	(259 544)
ახალი აქციების გამოშვება		
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(19 928)	(453 095)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(473 025)	(453 098)

დირექტორი



შპს “ჰიდროენერჯი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	250 247	214 549
სავაჭრო მოთხოვნები	240 856	104 807
მარაგები	179	179
სხვა მიმდინარე აქტივები	37 602	251 868
ძირითადი საშუალებები	3 405 240	3 654 966
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	3 934 124	4 226 369
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	11 164	2 884
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	25 000	254 468
საგადასახადო ვალდებულებები		10 853
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3 891 143	3 910 291
სხვა ვალდებულებები	479 843	500 971
სულ ვალდებულებები	4 407 150	4 679 467
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(473 026)	(453 098)
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	(473 026)	(453 098)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 934 124	4 226 369

შპს “ჰიდროენერჯი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები	საანგარიშგებო პერიოდი 2019	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018
ნეტო ამონაგები	1 086 026	877 012
საქონლის გაყიდვიდან	888 907	657 690
მომსახურების გაწევიდან	197 119	124 407
სხვა		94 915
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
საწყისი მარაგები	179	36 097
მარაგების შესყიდვა	-	146 403
საბოლოო მარაგები	179	179
საერთო მოგება	1 086 026	694 690
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(227 913)	(336 356)
ცვთა და ამორტიზაცია	(126 514)	(97 802)
საპროცენტო შემოსავალი:	9 806	59 007
საპროცენტო ხარჯი :	(339 902)	(460 014)
იჯარის ხარჯი		(5 182)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(117 916)	(307 438)
სულ საოპერაციო ხარჯები	(802 439)	(1 147 785)
საოპერაციო მოგება	283 587	(453 095)
არასაოპერაციო ხარჯი	(303 515)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	(19 928)	(453 095)
კაპიტალი საწყისი ნაშთი	(453 098)	(259 544)
ახალი აქციების გამოშვება		
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(19 928)	(453 095)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(473 025)	(453 098)

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა	საანგარიშგებო პერიოდი 2019	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივ.	35 698	(29 350)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	214 549	243 899
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	250 247	214 549

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჰიდროენერჯი“ /405074324/ დაფუძნდა 2014 წლის 5 დეკემბერს და მისი საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს ელექტრო ენერგიის წარმოება/მიწოდება შიდა ბაზარზე.

კომპანია მიეკუთვნება მცირე ჰესებს და საქმიანობს შილდა ჰესის სახელით

წლის განმავლობაში დასაქმებული ჰყავდა პერსონალი საშუალოდ 29 ერთეული.

საანგარიშგებო პერიოდში შპს „ჰიდროენერჯი“-ს 50/50 პროცენტიანი წილის მფლობელები არიან დავით უგრელიძე და ლაშა იორდანიშვილი, ხოლო დირექტორი გიორგი გოგავა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი, თუმცა ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მცირე ფასს-ით მომზადებულ სრულ პაკეტს. ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეკომენდაციო მითითება, რომელიც მესამე კატეგორიის საწარმოთათვის შეღავათს ითვალისწინებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე და მოიცავს პერიოდს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

კომპანია ფლობს ანგარიშსწორების ანგარიშებს ს.ს. „თი ბი სი ბანკში“ სადაც 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფულადი ნაშთის სახით განთავსებულია 214397,13 ლარი, ხოლო 31 დეკემბერის მდგომარეობით 212736,26 ლარი.

(ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას არ ახასიათებს მაღალი დებიტორული ნაშთი

(გ) გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. თუ არსებობს ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

(დ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული მომსახურებისათვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებებისა და დღგ-ს გარეშე. ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მომსახურების გაწევიდან ამონაგები იმ სააღრიცხვო პერიოდში აღიარდება, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება.

საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავლები აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლის დასახელება	2019 წ.
მიწოდება	888 907
სატრანსპორტო საშუალებით მომსახურება	197 119
სულ	1 086 026

საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ხარჯის დასახელება	2019 წელი
დასაქმებულთა ანაზღაურება	227913
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	117916
ცვეთა და ამორტიზაცია	126514
სულ	472343

კომპანიის მიერ გაწეულია ხარჯი საბანკო კრედიტის პროცენტის დასაფარად 339902 ლარის ოდენობით.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

საწარმო სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

2019 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მოგების განაწილებას ადგილი არ ჰქონია

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალის გაზრდა/შემცირებაზე გადაწყვეტილებას იღებენ დამფუძნებლები.

გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდის გაცემას ადგილი არ ჰქონია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

კომპანია ფლობს მიწის ნაკვეთს, შენობა-ნაგებობებს, სატრანსპორტო საშუალებებს, მანქანა-დანადგარებს, ავეჯსა და სხვადასხვა ინვენტარს რომელთა ჯამური ღირებულებაც შეადგენს 3405240 ლარს.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწის ნაკვეთები	ცვეთა არ ერიცხება
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
მანქანა-დანადგარები	3-10
შენობა-ნაგებობები და სხვა	5-20

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

კომპანია არ ფლობს არამატერიალურ აქტივებს.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს მასალებსა და ნედლეულს. მარაგის გაუფასურებაზე შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღით. თუ მარაგი გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას სასაქონლო-მატერიალური მარაგები თითქმის არ გააჩნია.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები, რომლის აღიარებაც ანგარიშგების თარიღისათვის ჯერ არ მომხდარა.

ხელმძღვანელობას არ აქვს ინფორმაცია მოსალოდნელი მოთხოვნის თაობაზე, რომელმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს კომპანიის არსებულ ფინანსურ მდგომარეობაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განსაზღვრავს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიმართ საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებების გამოანგარიშებისა და ადმინისტრირების წესებს, ამასთან ერთად გადასახადების არასწორმა აღრიცხვა/ადმინისტრირებამ შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კომპანია მიიჩნევს, რომ მათ მიერ სრულად და დროულად არის გადახდილი საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები და ამ მიზნებისათვის დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ

ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. სავალუტო რისკი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო მფლობელებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება. როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში) მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი".

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს ფულად სახსრებს, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას, რათა დარწმუნდეს, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები უწყვეტი საოპერაციო საქმიანობისთვის.

შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან ცალკეულ განმარტებას არსებულ ფინანსურ ანგარიშგებაში - ადგილი არ ჰქონია.

გლობალური გამოწვევა - COVID-19.

2020 წლის დასაწყისიდან მსოფლიოში გაჩნდა ახალი კორონავირუსული დაავადება (COVID-19) რომელიც დღემდე სწრაფად ვრცელდება მთელს მსოფლიოში და რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის მარტში პანდემიად გამოცხადდა.

ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად ქვეყნების მიერ მიღებულმა იძულებითმა შეზღუდვებმა გამოიწვია მრავალი კომპანიისათვის ეკონომიკური საქმიანობის შეფერხება, ზოგ შემთხვევაში შეწყვეტაც კი.

გავლენა უარყოფითად აისახა ასევე გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა, რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებით. მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების განსაზღვრას.

გამომდინარე იქედან რომ სიტუაცია სწრაფად ვითარდება და იცვლება, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიების ბიზნეს საქმიანობაზე სხვადასხვა სექტორში, რაც შესაძლებელია გამოიხატოს, ისეთი გავლენებით როგორებიცაა ბიზნეს ოპერაციების შეფერხება, საქონლის მომწოდებლებისაგან

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შეფერხება, წარმოების შეფერხება ან ობიექტების დახურვა, პერსონალის კარანტინი, პროდუქტებზე შემცირებული მოთხოვნა და დაფინანსების მოპოვების გაზრდილი სირთულეები.

პანდემიით გამოწვეული კრიზისი იწვევს მომხმარებელთა შემოსავლების შემცირებას, ან სულაც შეწყვეტას. აღნიშნული მყისიერ გავლენას ახდენს მათ მსყიდველობით უნარზე ან/და ცვლის მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

COVID-19-ის ეფექტის მნიშვნელობა კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე დიდწილად დამოკიდებულია პანდემიის მოქმედების ხანგრძლივობასა და სიმძიმეზე მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე. ამის გათვალისწინებით, კომპანიამ შეიძლება განიცადოს COVID-19-ის უფრო და უფრო ფართო ეფექტები გლობალურ ეკონომიკასა და მთავარ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი გავლენის გაღრმავების შედეგად, რისთვისაც მენეჯმენტს დასჭირდება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება.